# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

## საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგია“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 21 დეკემბერი, 2012 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კახა კალაძის სახით;

მეორეს მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირინა მილორავას სახით;

და მესამე მხრივ, შპს „ენერგია“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 401950037 (შემდგომში წოდებული, როგორც: „კომპანია“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გაიოზ უგრელიძის სახით.

საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგია“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულია 19 მგვტ. ჰიდროელექტროსადგური „ლარსი ჰესი“-ს მშენებლობა, რომლისთვისაც კომპანიას წარმოდგენილი აქვს 2 034 600.00 (ორი მილიონ ოცდათოთხმეტიათას 600 აშშ დოლარი და 00 ცენტი) აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტია N2166469-2128078. მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს შპს „ენერგია“-მ წერილობით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და „სახელმწიფო პროგრამა „განახლებული ენერგია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის, N107 დადგენილების $7^1$ პუნქტის შესაბამისად ითხოვა საბანკო გარანტიის ოდენობის შემცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ენერგიას“ დაწყებული აქვს მშენებლობა და დღეის მდგომარეობით ასრულებს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს, მხარეები შეთანხმდნენ, კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2 034 600.00 აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტია, შემცირდეს და განისაზღვროს 1 430 000.00 აშშ დოლარის ოდენობით.

1. შეიცვალოს საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგია“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს

გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.6 პუნქტის პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.6 კომპანიის მიერ ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების უზრუნველსაყოფად, მთავრობაზე გადაცემულია საბანკო გარანტია 1 430 000.00 (ერთი მილიონ ოთხას ოცდაათი ათასი აშშ დოლარი და 00 ცენტი) აშშ დოლარის ოდენობით (ასლი თან ერთვის).“.

2. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 14 დღის ვადაში, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს გარანტიის გამცემი სს „თიბისი ბანკი“-სათვის წერილობითი მოთხოვნის გაგზავნას კომპანიის მიერ წარმოდგენილი N2166469-2128078 საბანკო გარანტით გათვალისწინებული თანხის (2 034 600.00 აშშ დოლარი) 1 430 000.00 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე;
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგია“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების პერიოდზე (ვადაზე);
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგია“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს;
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
6. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე ______________

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

ირინა მილორავა ______________

შპს „ენერგია“

გაიოზ უგრელიძე ______________

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
Electricity System Commercial Operator JSC

26.11.2012 № 01/1096

9781
27 11 12

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების

მინისტრის მოადგილეს

ბატონ ი. ელოშვილს

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2012 წლის 20 ნოემბრის #03/3323 წერილის პასუხად, მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ენერგიას" შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით, სისტემის კომერციულ ოპერატორს შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ი. მილორავა

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915
office@esco.ge; www.esco.ge

2 Barataslivili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915
www.esco.ge; office@esco.ge

რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

Marjanishvili Branch
მარჯანიშვილის ფილიალი

# საბანკო გარანტია №2166469-2128078

1071/102-02

24.05.2012

სს"თიბისი ბანკი" ადასტურებს მისი წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და გასცემს უპირობო და გამოუხმობად გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი პირობებით:

ამასთან აღვნიშნავთ, რომ სს"თიბისი ბანკი" წარმოადგენს საქართველოში ლიცენზირებულ ბანკს და მის მიერ გაცემული წინამდებარე უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, 2 034 600 (ორი მილიონ ოცდაოთხმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ოდენობით, არ აღემატება ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

გარანტი: სს"თიბისი ბანკი"

მის: ქ. თბილისი კ. მარჯანიშვილის №7

პრინციპალი: შპს "ენერგია"

ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. (ნაკვე 4/11)

ბენეფიციარი: საქართველოს მთავრობა

გარანტიის თანხა

2 034 600 (ორი მილიონ ოცდაოთხმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარი

**მუხლი 1. გარანტიის გაცემის საფუძველი:**

2011 წლის 10 მარტს "პრინციპალმა" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში წარადგინა განაცხადი განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი "ლარსი ჰესი"-ს, №56, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე (შემდგომში „განაცხადი").

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ "პრინციპალის" განაცხადის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის და ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს მთავრობას, "შ.პ.ს" "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს" და "პრინციპალს" შორის სამი თვის ვადაში უნდა დაიდოს მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი").

აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე გარანტია გაიცა "პრინციპალის" მიერ განაცხადის პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად;

საქართველოს მთავრობას, "შ.პ.ს" "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და "პრინციპალს" შორის მემორანდუმის დადების უზრუნველსაყოფად და მემორანდუმის დადების შემთხვევაში, "პრინციპალის" მიერ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 2. გარანტით უზრუნველყოფილი ვალდებულებები და გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევები:**

ბანკის მიერ მთავრობის სასარგებლოდ გარანტიის თანხა უპირობოდ გადახდილი იქნება იმ შემთხვევაში თუ:

1. "პრინციპალი" არ ასრულებს მის მიერ წარდგენილი განაცხადის რომელიმე პირობას ან უარს ამბობს განაცხადზე მთლიანად ან ნაწილობრივ.

2. "პრინციპალის" მიერ "ლარსი ჰესი"-ს მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ საჯაროდ განაცხადის განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში "პრინციპალმა" საქართველოს მთავრობასთან "შ.პ.ს" "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან" არ დადო სტანდარტული ფორმით შედგენილი მემორანდუმი.

3. "პრინციპალის" მიერ ხდება მემორანდუმით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა, ვადაგადაცილებით შესრულება ან არაჯეროვანი შესრულება).

**მუხლი 3. საგარანტიო თანხის გადახდის პირობები**

"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გამოყენების გარეშე "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 3 საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს (გადარიცხოს თანხა

საქართველო, 0102 თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. №7

7 Marjanishvili St.
0102 Tbilisi, Georgia

ტელ/Tel: (+995 32) 227 27 27
ფაქსი/Fax: (+995 32) 227 27 74

[redacted]

ბენეფიციარის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე) გარანტიის თანხა იმ ოდენობით, რომელსაც "ბენეფიციარი" მოითხოვს "მაქსიმალური ოდენობის" ფარგლებში;

"ბენეფიციარის" წერილობით მოთხოვნაში აღწერილი უნდა იყოს პრინციპალის მიერ დარღვეული ვალდებულება.

**მუხლი 4. გარანტიის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა.**

ეს გარანტია ძალაში შედის № 1084262-1333569 გარანტიის დახურვის შემდეგ, გარანტის მიერ მისი გაცემის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 აპრილის ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიის თანხის გადახდის შესახებ "ბენეფიციარმა" გარანტს უნდა წარუდგინოს 2014 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

**მუხლი 5. გარანტიის ავტომატურად გაუქმება**

საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმებულად ჩაითვლება:

ა) მე-4 მუხლში მითითებული ვადის გასვლისთანავე (თუ ვადა არ იქნა გაგრძელებული);

ბ) გარანტის მიერ საგარანტიო თანხის "ბენეფიციარისთვის" სრულად გადახდისთანავე;

გ) მე-4 მუხლში მითითებულ ვადამდე "ბენეფიციარის" წერილობითი თანხმობის საფუძველზე, პრინციპალის მიერ აღებული ვალდებულებების წინსწრებით შესრულების შემთხვევაში.

**მუხლი 6. საგარანტიო თანხის შემცირება**

საბანკო გარანტიის თანხის შემცირება შესაძლებელია "ბენეფიციარის" წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

**მუხლი 7. დავების გადაწყვეტა**

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკებების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 8. ენა**

წინამდებარე საბანკო გარანტია შედგენილია ქართულ ენაზე.

**სს თიბისი ბანკი"**

**წარმომადგენელი** **გ. შიხაშვილი**

# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

№2004    2012 წლის 13 დეკემბერი    ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ენერგიას" შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. მიღებულ იქნეს ცნობად შპს „ენერგიის" წინადადება 2011 წლის 17 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ოდენობის შემცირების თაობაზე.
2. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ენერგიას" შორის დასადები შეთანხმების პროექტი 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კ. კალაძემ.
4. ამ განკარგულების მეორე პუნქტში მითითებული შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სახელით შესაბამისი ქმედებების (მათ შორის საბანკო გარანტიის თანხის 2 034 600.00 აშშ დოლარიდან 1 430 000.00 აშშ დოლარამდე შემცირებისათვის შესაბამის ბანკში წარსადგენ წერილზე ხელმოწერა) განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს კ. კალაძეს.

პრემიერ-მინისტრი    ბიძინა ივანიშვილი

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

*010154933068512*

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

KA010154933068512

№53753

06 / დეკემბერი / 2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრის მოადგილეს
ბატონ ილია ელოშვილს

ბატონო ილია,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 28 ნოემბრის №03/3434 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელეტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ენერგიას" შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ მასთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 523120
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12099047
ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/08/2012 09:47:36

---

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს ენერგია |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ., (ნაკვეთი 4/11) |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 401950037 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 08/09/2010 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის გ-ბა |

---

## ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01010004138, გაიოზ უგრელიძე,
  დირექტორი, ,

---

## პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 211352187, შპს "ფერი", | 30.00000000% | 401950037-SH-00001 |
| 64№0395562, , მევლუდი ბლიაძე, რუსეთის ფედერაცია, | 70.00000000% | 401950037-SH-00002 |

---

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R11001224 22/07/2011 17:58:20
  კრედიტორი : სს'თიბისი ბანკი' (საქართველო) 204854595
  მესაკუთრე : შპს 'ფერი' (საქართველო) 211352187
  საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : 30% წილი შპს 'ენერგია'-ში (ს/ნ 401950037)
  საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, №15831-77, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, №110762965, 21.07.2011
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R12001300 25/07/2012 16:39:02
  კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595
  მესაკუთრე : ბლიაძე მევლუდ (რუსეთის ფედერაცია) 64№0395562
  მესაკუთრე : შპს ფერი (საქართველო) 211352187
  მესაკუთრე : შპს ენერგია (საქართველო) 401950037
  საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : შპს ფერის 30%-იანი წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საფირმო სახელწოდება: შპს ენერგია; საიდენტიფიკაციო ნომერი: 401950037.არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : შპს ენერგიას არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება (იხ. სარეგისტრაციო დოკუმენტი).არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : შპს ენერგიას არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (იხ. სარეგისტრაციო დოკუმენტი).არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : მევლუდ ბლიაძის 70%-იანი წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საფირმო სახელწოდება: შპს ენერგია; საიდენტიფიკაციო ნომერი: 401950037.
  საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 12312353214; 12312353436; 12312353330., ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 120762832, 19.07.2011

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

---

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.